1941.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. თებერვლის 8 № 5 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

23. 1941 წლის იანვარში კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების წესის შესახებ.
24. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაშურის სატყეო სამრეწველო მეურნეობის ლიკვიდაციის შესახებ.
25. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ადგილობრივ და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გამგებლობაში გადასაცემ ტყეების, სატყეო მეურნეობების და სხვა საწარმოების ნუსხის დამტკიცების შესახებ.
26. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივ და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს შესახებ.

ESSE

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

23. 1941 წლის იანვარში კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების წესის შესახებ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1940 წლის 30 დეკემბრის № 1961 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, საქართველოს კომუნალურ ბანკს, სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის, სამრეწველო ბანკის და სავაჭრო ბანკის საქართველოს კანტორებს 1941 წლისა და 1941 წლის პირველი კვარტალის კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის დამტკიცებამდე დააფინანსონ 1941 წლის იანვარში 1941 წლისათვის გარდამავალი მშენებლობა 1940 წლის IV კვარტალში მომქმედი სატიტულო სიების მიხედვით.

2. გარდამავალი მშენებლობის დაფინანსება 1941 წლის იანვარში აწარმოონ 1940 წლის დეკემბრის ფაქტიური ხარჯების ფარგლებში.

3. დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატს, ცენტრალურ ორგანიზაციებს, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ კაპიტალური მშენებლობის სათანადოდ გაშლა იანვარში გარდამავალ მშენებლობათა ხაზით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. იანვრის 2. № 1.
თბილისი.

---

24. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაშურის სატყეო სამრეწველო მეურნეობის ლიკვიდაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ხაშურის სატყეო სამრეწველო მეურნეობის იმ სატყეო ნაკვეთებში ნედლეულის მარაგის გამოლევის გამო, რომელთა სამრეწველო ექსპლოატაცია ხდება, ნება დაერთოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს მოახდინოს ხაშურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ლიკვიდაცია და ამოშალოს იგი 1941 წლის 1 იანვრიდან მომქმედ საწარმოთა რიცხვიდან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. იანვრის 3. № 12.
თბილისი.

25. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ადგილობრივ და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გამგებლობაში გადასაცემ ტყეების, სატყეო მეურნეობების და სხვა საწარმოების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ 1940 წლის 19 დეკემბერს „საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს მოწყობის შესახებ" მიღებული დადგენილების (საქ. სსრ დადგ. კრ. 1941 წ. № 1, მუხ. 9) განსავითარებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გამგებლობაში შემდეგი ტყეები, სატყეო მეურნეობანი და სხვა საწარმოები:

ა) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოს 285 ათასი ჰექტარი საკურორტო ტყეები, სატყეო მეურნეობანი, ხისდამმუშავებელი და სხვა საწარმოები, თანახმად დანართისა № № 1 და 2;

ბ) მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების 75 ათასი ჰექტარი საკურორტო ტყეები და რაიონული სატყეო მეურნეობანი, თანახმად დანართისა № 3;

გ) ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ატენის საცდელი სატყეო-მელიორატიული სადგურის სატყეო აგარაკი 30 ათასი ჰექტარის ფართობით;

დ) ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დუშეთის სასწავლო-საცდელი სატყეო მეურნეობა 86,9 ათასი ჰექტარი ტყით, რომლებიც ამ მეურნეობას ეკუთვნის;

ე) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები და რაიონული სატყეო მეურნეობანი 286,1 ათასი ჰექტარის რაოდენობით, თანახმად დანართისა № 4;

ვ) მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ჯავის სატყეო მეურნეობა მისი კუთვნილი 40 ათასი ჰექტარი ტყეებით;

ზ) აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის საკურორტო სამმართველოს 154,6 ათასი ჰექტარი საკურორტო ტყეები და სატყეო მეურნეობანი, თანახმად დანართისა № 5.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გამგებლობაში გადასაცემი ტყეების საერთო ფართობი განისაზღვროს 957,6 ათასი ჰექტარით.

3. ნება დაერთოს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს და ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტი-

ტუტს, აწარმოონ საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოსთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, ყოველგვარი სახის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა სამმართველოსათვის გადაცემულ ტყეებში.

4. ამ დადგენილების 1 მუხლში ჩამოთვლილ სატყეო მეურნეობათა და სხვა საწარმოთა გადაცემა მათი კუთვნილი ნაგებობით, ინვენტარით, მუშაკთა შტატით, ხელფასის ფონდითა და 1941 წლის ასიგნობებითურთ, მოხდეს ბალანსის მიხედვით მთელი აქტივითა და პასივით იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 15 თებერვლის დადგენილებით „სახელმწიფო საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა გადაცემის წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 11, მუხ. 93).

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. მარჯანიშვილს და იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომელთა ტყეები სამმართველოს გადაეცემა, ერთი თვის ვადაში დაამთავრონ სატყეო მეურნეობების და სხვა საწარმოების მიღება-ჩაბარება, რაზედაც შეადგინონ სათანადო მიღება-ჩაბარების აქტები.

6. დაწესდეს, რომ კურორტთა სანიტარული დაცვის ზონებში მდებარე ტყეების ტერიტორიაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველო განახორციელებს სამეურნეო ღონისძიებებს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილების სანიტარული დაცვის დებულებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 19 ივლისის დადგენილებით (საქ. სსრ დადგ. კრ. 1940 წ. № 20, მუხ. 77).

7. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს ზონების არსებული საზღვრების დაზუსტება, აგრეთვე სანიტარული დაცვის ახალი ზონების დაწესება რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე აწარმოოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოსთან ერთად.

8. ხობის, ფოთის, გალის, ოჩემჩირის, გურჯაანის, სიღნაღისა და გეგეჭკორის რაიონების ტყეები შეტანილ იქნას სახელმწიფო სატყეო ფონდში და გადაეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, თანახმად დანართისა № 6.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად 1941 წლის განმავლობაში გამოაელინოს იმ ტყეების ფართობები, რომლებიც კოლმეურნეობებს გადაეცა უვადო (მუდმივ) სარგებლობაში და რომლებიც არ უნდა იქნან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაყვანილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად, და თავისი წინადადებანი ამ ტყეების შენარჩუნების უზრუნველყოფის შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი და საკავშირო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. მარჯანიშვილს ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარმოუდგინოს ინსტრუქცია ადგილობრივი და საკავშირო მნიშვნელობის ტყეებში სატყეო მეურნეობის გამგებლობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. იანვრის 10. № 45.
თბილისი.

დანართი № 1.

იმ ტყეებისა და სატყეო მეურნეობათა ნუსხა, რომლებიც საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკავშირო სამმართველოს გამგებლობიდან საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ადგილობრივი და საკავშირო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გადაეცა.

1. ბორჯომის	15.900	ჰექტ.	9. აბასთუმნის	20.300	ჰექტ.
2. ბაკურიანის	15.700	,,	10. სურამის	17.000	,,
3. წაღვერის	14.000	,,	11. წყალტუბოს	14.100	,,
4. ახალდაბის	14.500	,,	12. ბახმაროს	12.000	,,
5. დვირის	17.500	,,	13. შოვის	18.600	,,
6. ახალციხის	34.700	,,	14. საირმის	25.000	,,
7. აწყურის	21.100	,,	15. ვანის	20.000	,,
8. ადიგენის	24.600	,,			
			სულ	285.000	ჰექტ.

დანართი № 2.

ხისდამმუშავებელი საწარმოებისა და სხვა სამეურნეო ობიექტების ნუსხა, რომლებიც საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკავშირო სამმართველოს გამგებლობიდან ადგილობრივი და საკავშირო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გადაეცა.

I. **ქარხნები და ფაბრიკები.**

ახალდაბის ხე-ტყის სახერხი ქარხანა
აბასთუმნის ავეჯის ფაბრიკა
აბასთუმნის ხე-ტყის სახერხი ქარხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. **დამცურებელი მეურნეობანი.**

1. ადიგენის
2. ახალციხის
3. ქუთაისის

III. ახალდაბის სატყეო საცდელი სადგური
IV. ბორჯომის სანადირო ნაკრძალი
V. ახალდაბის მექანიზებული საკონტროლო საგუშაგო.

დანართი № 3.

იმ ტყეებისა და რაისატყეო მეურნეობათა ნუსხა, რომლებიც თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანგანყოფილების გამგებლობიდან ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გადაეცა.

I. **მანგლისის სატყეო მეურნეობა.**

1. მანგლისის რაისატყეო მეურნეობა . . . . . 18.000 ჰექტ.
2. პრიუტის ,, ,, ... 12.000 ,,

II. **თბილისის სატყეო მეურნეობა**

1. მცხეთა-ძეგვის რაისატყეო მეურნ. . . . . 13.000 ჰექტ.
2. დიღმის ,, ,, ... 12.000 ,,
3. გლდანის ,, ,, ... 7.000 ,,
4. კოჯორის ,, ,, ... 6.000 ,,
5. მარტყოფის ,, ,, ... 7.000 ,,

სულ . . . . . 75.000 ჰექტ.

დანართი № 4.

ადგილობრივი მნიშვნელობის იმ ტყეებისა და რაისატყეო მეურნეობათა ნუსხა, რომლებიც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობიდან ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გადაეცა.

1. ახალქალაქის რაიონი . . . . . 3.600 ჰექტ.
2. სოხუმის „ . . . . . 7.500 „
3. გუდაუთის „ . . . . . 26.500 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გაგრის	„	6.500	„
5. ჯავის 6. ზნაურის 7. ლენინგორის 8. სტალინირის	„	18.000	„
9. ხულოს	რაიონი	32.000	ჰექტ.
10. ქედის	„	10.000	„
11. ბათუმის	„	10.000	„
12. ქობულეთის	„	11.000	„
13. მახარაძის	„	4.500	„
14. ქუთაისის	„	10.000	„
15. ტყიბულის	„	8.000	„
16. ამბროლაურის	„	9.000	„
17. ო ნ ი ს	„	12.000	„
18. ჭიათურის	„	9.000	„
19. ხარაგოულის	„	13.000	„
20. ხაშურის	„	8.000	„
21. კასპის	„	13.000	„
22. თელავის	„	8.500	„
23. ყვარლის	„	7.600	„
24. ვ ა ნ ი ს	„	4.200	„
25. მაიაკოვსკის	„	5.000	„
26. ცაგერის	„	10.000	„
27. ცხაკაიას	„	4.000	„
28. ჩოხატაურის	„	4.000	„
29. ლანჩხუთის	„	4.500	„
30. ზესტაფონის	„	9.500	„
31. ბორჩალოს	„	1.200	„
32. ბაშკიჩეთის	„	1.400	„
33. ზუგდიდის	„	500	„
34. წალენჯიხის	„	1.700	„
35. თბილისის	„	1.500	„
36. წულუკიძის	„	1.200	„
37. ჩხოროწყუს	„	2.300	„
38. ჩხარის	„	2.500	„
39. ლაგოდეხის	„	2.600	„
40. ბათუმის ქალაქის საბჭო		2.900	„
	სულ	286.100	ჰექტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 5.

იმ ტყეებისა და სატყეო მეურნეობების ნუსხა, რომლებიც აფხაზეთის ასსრ ჯანსახკომის საკურორტო სამმართველოს გამგებლობიდან ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გადაეცა.

1.	გაგრის სატყეო	მეურნეობა	58.143 ჰექტ.
2.	ბიჭვინთის	„	2.352 „
3.	ფსირცხის	„	7.335 „
4.	გუმისტის	„	43.190 „
5.	გულრიპშის	„	5.724 „
6.	ოჩამჩირის	„	37.862 „
		სულ . .	154.606 ჰექტ.

დანართი № 6.

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებისა და რაისატყეო მეურნეობათა ნუსხა, რომლებიც საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს გადაეცა:

1.	ხობის	რაიონი	4.000 ჰექტ.
2.	ფოთის	„	1.500 „
3.	გალის	„	10.800 „
4.	ოჩამჩირის	„	9.400 „
5.	გურჯაანის	„	5.800 „
6.	სიღნაღის	„	4.200 „
7.	გეგეჭკორის	„	7.000 „
		სულ	42.700 ჰექტ.

26. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს დებულება ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1938 წლის 23 მარტის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 9, მუხ. 36).

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს შეიმუშაოს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს სამმართველოსა და მისი ადგილობრივი ორგანოების შტატები 1941 წლისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. იანვრის 10. № 46.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივ და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს შესახებ.

I. საერთო დებულებანი.

1. ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეებში სატყეო მეურნეობის მოწესრიგებისა და საქართველოს სს რესპუბლიკის იმ ტყეების მართვა-გამგეობის ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით, რომლებიც საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში არ შედიან,—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოწყობილია ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველო, თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 19 დეკემბრის დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1941 წ. № 1, მუხ. 9).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველო გეგმავს და უშუალო ხელმძღვანელობას უწევს მის გამგებლობაში მყოფი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების, საკურორტო სატყეო მეურნეობათა, საცდელ და საქალაქო სატყეო მეურნეობათა, რაიონულ სატყეო მეურნეობათა და სხვა ორგანიზაციათა მუშაობას, რომლებიც აღნიშნულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 10 იანვრის დადგენილებაში „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გამგებლობაში გადასაცემ ტყეების, სატყეო მეურნეობების და სხვა საწარმოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1941 წ. № 5, მუხ. 25).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ძირითად ამოცანას წარმოადგენს სატყეო მეურნეობის ორგანიზაცია, ადგილობრივი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკურორტო მნიშვნელობის ტყეების, საცდელი და საქალაქო ტყეების სანიმუშო მდგომარეობაში შენახვა და დაცვა, აგრეთვე მუშაობის წარმოება ახალი სატყეო კულტურული ნარგავების ფართოდ განვითარებისათვის.

II. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს გამგებლობის საგანი.

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ეკისრება:

ა) ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ყველა სატყეო მასივის, აგრეთვე საცდელი საქალაქო ტყეების და დაქვემდებარებული ორგანიზაციების მართვა-გამგეობა როგორც უშუალოდ, ისე იმ ორგანოების მეშვეობითაც, რომლებიც მას ემორჩილებიან;

ბ) სატყეო-კულტურული, ტყის აღდგენისა და ტყის განახლების ღონისძიებათა გატარება;

გ) ტყეების დაცვა უკანონო გაჩეხვისა და სატყეო მეურნეობის გაძღოლის წესების დარღვევისაგან;

დ) ტყეების დაცვა ხანძრისა და ტყის მავნებლებისაგან და ბრძოლა ხანძრისა და ტყის მავნებლების წინააღმდეგ;

ე) სატყეო საცდელი საქმის ორგანიზაცია;

ვ) ხე-ტყის დამზადებისა და დაცურების ოპერაციების წარმოება;

ზ) ავეჯის წარმოება და ხე-ტყის ხერხვა;

თ) წლიური სარგებლობის ოდენობის განსაზღვრა და ტყესაკაფების გამოყოფა როგორც სანიტირულ-გამაჯანსაღებელი გაჩეხისათვის, ისე მოვლის წესით გაჩეხვისთვისაც და ამ ჩეხის განხორციელება;

ი) ჩეხის მეთოდების დაწესება ცალკეული სატყეო მასივების დანიშნულების გათვალისწინებით;

კ) სატყეო შემოსავლის აკრეფა;

ლ) დაქვემდებარებულ ტყეებში ყოველგვარი სახის სარგებლობის წესებისა და ინსტრუქციების გამოცემა;

მ) სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოთა მოწყობა და წარმოება;

ნ) დაქვემდებარებული ორგანიზაციებისათვის საჭირო მუშათა კადრების ორგანიზებული შეგროვების განხორციელება;

ო) დაქვემდებარებული ტყეებიდან ადგილობრივი მოსახლეობისათვის მერქნის მიცემა დადგენილი წესით;

პ) სამმართველოს სატყეო მეურნეობათა და სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსიური საქმიანობის ხელმძღვანელობა: სატყეო მეურნეობის საფინანსო გეგმის შემუშავება, ხარჯთაღრიცხვების შედგენა, მათი დამტკიცება სათანადო ორგანოებში, საკრედიტო გეგმების შემუშავება სატყეო მეურნეობებისა და სხვა საწარმოებებისათვის; დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა ანგარიშებისა და ბალანსების დამტკიცება და ნაკრები ანგარიშის შედგენა.

ჟ) სამმართველოს სატყეო მეურნეობათა და სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა საბრუნავი სახსრების განაწილება და რეგულირება;

რ) შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, შრომის სოციალისტური მეთოდების დანერგვა წარმოებაში; ხე-ტყის დამზადებაზე, დაცურებასა და სატყეო-კულტურულ სამუშაოებზე შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და რაციონალიზაციის განხორციელება;

ს) დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა საწარმოო გეგმების დამტკიცება;

ტ) კაპიტალური მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენა სათანადო ორგანოების მეშვეობით; საპროექტო დავალებების, ტექნიკური პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება დადგენილი წესით, აგრეთვე მშენებლობის განხორციელება საიჯარო ორგანიზაციების მეშვეობით ან სამეურნეო წესით;

უ) განაცხადების შედგენა, მათი წარდგენა სათანადო ორგანოებისათვის, სამმართველოს სატყეო მეურნეობისა და სხვა საწარმოებისათვის საჭირო საამშენებლო მასალის, სამრეწველო და სასურსათო საქონლისა და ფურაჟის ფონდების მიღება და განაწილება;

ფ) ტყის პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შედგენა, გასაღებისა და მომხმარებელთან ხელშეკრულებათა დადების ორგანიზაცია;

ქ) სატყეო მეურნეობათა და სხვა საწარმოთა პროდუქციის ხარისხის სისტემატური კონტროლის ორგანიზაცია;

ღ) სატყეო მეურნეობის ნაკრები პერსპექტიული და წლიური გეგმების შედგენა და მათი წარდგენა დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსათვის;

ყ) დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა აღრიცხვისა და ანგარიშგების მოწყობა და ხელმძღვანელობა;

შ) დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა დებულებების, სტრუქტურისა და შტატების დამტკიცება.

III. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს სტრუქტურა.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს სათავეში სდგას სამმართველოს უფროსი.

სამმართველოს უფროსს ჰყავს ორი მოადგილე.

სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეებს დანიშნავს და გაანთავისუფლებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო სამმართველოს უფროსის წარდგენით.

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ცენტრალურ აპარატში შედის შემდეგი განყოფილებანი:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების განყოფილება შემდეგი სექტორებით: 1) სატყეო-სამეურნეო და 2) სატყეო-კულტურული;

ბ) საკურორტო მნიშვნელობის ტყეების განყოფილება შემდეგი სექტორებით: 1) სატყეო სამეურნეო, 2) ტყის მოწყობისა და 3) სატყეო-კულტურული;

გ) ტყის ექსპლოატაციისა და ხისდამუშავების სამეურნეო ანგარიშის განყოფილება შემდეგი სექტორებით: 1) ხე-ტყის დამზადებისა და დაცურების და 2) ხის დამუშავების;

დ) საგეგმო-საფინანსო განყოფილება;

ე) ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილება;

ვ) ცენტრალური ბუხჰალტერია;

გ) სპეცგანყოფილება.

7. სამმართველოს უფროსთან იქმნება საბჭო.

საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო სამმართველოს უფროსის წარდგენით.

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს განყოფილებათა უფლება-მოვალეობას დააწესებს სამმართველოს უფროსი სამმართველოსათვის დაკისრებული ამოცანების ფარგლებში.

IV. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ადგილობრივი ორგანოები.

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენენ სატყეო მეურნეობანი, ადგილობრივი მნიშვნელობის რაიონული სატყეო მეურნეობანი, საკურორტო და საქალაქო სატყეო მეურნეობანი.

10. ადგილობრივი მნიშვნელობის რაიონული სატყეო მეურნეობანი დაიყოფებიან საუბნო-სატყეო მეურნეობებად, ხოლო საკურორტო-სატყეო მეურნეობანი—რაიონულ სატყეო მეურნეობებად.

11. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ეწყობა აფხაზეთის ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სატყეო მეურნეობა, რომელსაც ექვემდებარებიან აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე მდებარე რაიონული სატყეო მეურნეობანი.

12. როგორც რაიონული სატყეო მეურნეობანი, ისე საოლქო სატყეო მეურნეობებიც უშუალოდ ემორჩილებიან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს.

13. სატყეო მეურნეობათა საზღვრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს წარდგენით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან.

14. სატყეო მეურნეობათა განკარგულებაში იმყოფება ტყის მცველი რაზმი, რომელიც განსაკუთრებული დებულების საფუძველზე მოქმედებს.

15. ადგილობრივი მნიშვნელობის რაიონული სატყეო მეურნეობანი ინახება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების ანგარიშზე დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვებით, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველო.

საოლქო სატყეო მეურნეობა, საკურორტო და საცდელი სატყეო მეურნეობანი და საწარმოები წარმოადგენენ სამეურნეო ანგარიშის დამოუკიდებელ ერთეულებს, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი და საკუთარი საანგარიშსწორებო ანგარიშები ბანკში.

16. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ტყის ექსპლოატაციისა და ხისდამუშავების განყოფილება თავისი სექტორებითურთ იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე დამოუკიდებელი ბალანსით.

17. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებს, სატყეო მეურნეობათა, საწარმოთა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციათა დირექტორებს და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების რაიონულ სატყეო მეურნეობათა გამგეებს დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსი.

41-233
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28
შეკვეთა № 342.
ტირ. 1600.